

შავი ზღვის სივრცის რეპრეზენტაციის მოდელები თანამედროვე ქართულ და რუსულ პროზაში

ნინო გერგედავა

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცირა კილანავა, ფილოლოგიის დოქტორი, ილიას
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი ქართული ფილოლოგიისა და
ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

აბსტრაქტი

შავი ზღვა, როგორც გეოგრაფიული, კულტურული და სემიოტიკური სივრცე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში, სადაც ის არა მხოლოდ ბუნებრივი ლანდშაფტია, არამედ მრავალშრიანი ნარატიული კონსტრუქცია, ტრავმული მეხსიერების, ნაციონალური იდენტობისა და პოლიტიკური და კულტურული ტრანსფორმაციების აღმნიშვნელი.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს თანამედროვე ქართულ და რუსულ პროზაში შავი ზღვის რეპრეზენტაციის მოდელების შესწავლას. კვლევის პირველწყაროებია ოთხი სხვადასხვა ესთეტიკური და იდეოლოგიური პარადიგმის მქონე ტექსტი: გურამ ოდიშარიას „სოხუმში დაბრუნება“ (2013 წ.). გიორგი სოსიაშვილის „ზღვა და ალუბლები“ (2013 წ.), ედუარდ ლიმონოვის „Чёрное море / Гудайты“ (2001 წ.) ფაზილ ისკანდერის „Рассказ о море“ (1966 წ.).

წინამდებარე კვლევა ემყარება მიხაილ ბახტინის *ქრონოტოპისა* და იური ლოტმანის *სემიოსფეროს* თეორიებს, რაც შესაძლებელს ხდის ტექსტების ანალიზს როგორც დრო-სივრცობრივი, ისე სემიოტიკური კონსტრუქციების კრილში. ბახტინის ქრონოტოპის კონცეფციის გამოყენება საშუალებას იძლევა, განვიხილოთ ზღვა როგორც დროისა და სივრცის გადაკვეთის წერტილი, რომელიც განსაზღვრავს პერსონაჟთა მეხსიერებას, მოძრაობას, ტრავმის აღქმას და ნარატიულ დინამიკას. ამავდროულად, ლოტმანის სემიოსფეროს მეშვეობით შავი ზღვა იკითხება როგორც საზღვარი „ჩვენს“ და „სხვათა“ შორის — როგორც გარდამავალი სივრცე, სადაც თანაარსებობს კულტურათაშორისი კონფლიქტი და დიალოგი.

ამ კვლევაში შავი ზღვა განიხილება არა უბრალოდ როგორც ბუნებრივი სივრცე, არამედ როგორც ადგილი, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ბიოგრაფიული კავშირი აქვთ ზღვასთან.

შავი ზღვის სივრცის კულტურული მნიშვნელობის შესწავლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე წლის წინ დაიწყო. ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი ბელა წიფურია თავის ნაშრომში „შავი ზღვის სივრცის რეპრეზენტაცია ქართულ ლიტერატურაში: პოსტკოლონიური პერსპექტივა“ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შავი ზღვა ქართული კულტურისთვის: ეს არის სივრცე, სადაც ერი საკუთარ თავს ეძებს. ბელა წიფურია ამბობს, რომ შავი ზღვა, რომელსაც შეეძლო ყოფილიყო ღია სივრცე ადგილი, სადაც საქართველო დანარჩენ სამყაროსთან კონტაქტს დაამყარებდა და კომუნიკაციას გააფართოებდა რეალურად ასეთ ფუნქციას ვერ ასრულებს. როგორც ის წერს:

შავი ზღვა, რომელიც, პოტენციურად, შეიძლებოდა ყოფილიყო გეოგრაფიული და კულტურული ღიაობისა და დანარჩენ სამყაროსთან კომუნიკაციის არეალი, საბჭოური და პოსტსაბჭოური პერიოდის ქართულ ლიტერატურაში არ ატარებს მსგავს ფუნქციას. ეს, ცხადია, აიხსნება რუსულ-საბჭოური კოლონიური პოლიტიკით და საზღვრების დახშულობით. (წიფურია 2019, 474).

ეს ნიშნავს, რომ ზღვამ დაკარგა ის როლი, რაც მას ბუნებრივად შეიძლებოდა ჰქონოდა კავშირების დამამყარებელი ადგილი. ამის მიზეზი კი ისტორიული და პოლიტიკური მოვლენებია: საბჭოთა პერიოდის დროს საქართველო იზოლირებული იყო გარე სამყაროსგან, საზღვრები დაკეტილი იყო, და ზღვაც უფრო ჩაკეტილობის სიმბოლოდ იქცა, ვიდრე ღიაობის.

შედარებითი ლიტერატურის მეორე კრებულში წარმოდგენილია სალომე ლაფაჩიშვილის ნარკვევიც გურამ ოდიშარიაზე – „The Sea as the Destiny in the Georgian Postmodern Novel The Black Sea Ocean“. ზღვა აღარ არის მხოლოდ დასვენების ან სილამაზის ადგილი. ის იქცა ტრავმის, მეხსიერებისა და სევდის სიმბოლოდ — ადგილად, სადაც ჩანს დაკარგული სახლი და ბავშვობა. თამთა ხლვაში თავის ნაშრომში „Makeshift Boats Transience. Turbulence and the Sea of Mourning“ გვიჩვენებს საპორტო ქალაქების ყოველდღიურობას და იმას, თუ როგორ ცვლიდა ზღვისპირა ცხოვრება ადამიანებს პოსტსაბჭოთა ქალაქებში. კრებულიდან ჩანს, რომ ზღვა ზოგჯერ

აერთიანებს წარსულს და აწმყოს, ის როგორც სევდის, ისე იმედის ადგილია. დასახელებულ ნაშრომებში შავი ზღვა წარმოდგენილია როგორც გაცილებით მეტი, ვიდრე უბრალოდ გეოგრაფიული წერტილი — ის არის წარსულის, მოგონებებისა და საკუთარი თავის ძიების ადგილი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა შავი ზღვის ამსახველ ტექსტურ მონაცემთა პლატფორმა (<https://bsr.iliauni.edu.ge/ka>). პლატფორმის მიზანია ქართულ ლიტერატურასა და ისტორიულ წყაროებში შავი ზღვის აღქმის განსხვავებული მოდელების ასახვა და შავ ზღვასთან დაკავშირებული ემოციების ანალიზი. აქ განთავსებულია იმ ტექსტების ნაწილი შუა საუკუნეებიდან დღემდე, რომლებიც საქართველოსა და შავი ზღვისპირა ქვეყნების (თურქეთი, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი და რუსეთი) მითებთან, ლიტერატურასთან და ისტორიულ მასალებთან არის დაკავშირებული. შავი ზღვის პლატფორმაზე წარმოდგენილია ინტერაქტიული რუკაც, სადაც მოცემულია ლიტერატურულ ტექსტებში ნახსენები კონკრეტული ადგილები შავი ზღვის სივრციდან — მაგალითად, სოხუმი, ბათუმი, ოდესა, სხვა. თითოეული ადგილი რუკაზე ნაჩვენებია ემოციური ტონალობის მიხედვით (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი). ამ ტონალობების მიხედვით ჩანს, თუ როგორია პერსონაჟის ან ტექსტის ავტორის დამოკიდებულება ამ ადგილისადმი. ხოლო კონკრეტულ ტექსტზე დაწკაპუნებით ვიხილავთ ავტორს, წელს, ტექსტის ჟანრსა და ემოციურ ანოტაციებს, რაც გვებმარება დავაკვირდეთ, როგორ აღიქვამენ ზღვის თემას სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა სოციო-კულტურულ კონტექსტში. პლატფორმა საშუალებას იძლევა, ვიზუალურად გავიგოთ, როგორ იცვლება შავი ზღვის მიმართ ემოციური დამოკიდებულება სხვადასხვა ტექსტში, სხვადასხვა დროსა და ადგილას.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში დამუშავებული 4 ტექსტიდან 3 ახალი მონაცემებით გაამდიდრებს აღნიშნული პლატფორმის ბაზას.

ქართულ ტექსტებში (გურამ ოდიშარიასთან, გიორგი სოსიაშვილთან) შავი ზღვა ერთდროულად წარმოადგენს ინდივიდუალური და კოლექტიური ტრავმების სივრცეს,

დამაკავშირებელ რგოლს დაკარგულ სახლსა და ამჟამინდელ იდენტობას შორის. იგი იქცევა ემოციური მეხსიერების, ლანდშაფტის და ისტორიის გადაკვეთის წერტილად, სადაც ზღვა არა მხოლოდ ფიზიკური რეალობა, არამედ რეტროსპექტული სივრცეა. ეს არის ადგილი, სადაც ადამიანს ახსენდება დაკარგული სახლი, ბავშვობა, სამშობლო. ზღვა ხდება მეხსიერების ნაწილი — ის გვეხმარება, გავიხსენოთ, ვინ ვიყავით და რა დაგვაკლდა. ოდიშარიასთან ზღვა ხშირად არის დევნის, ომის და ტკივილის ფონი ადგილი, სადაც გმირი ვერ ბრუნდება და ვერ იქნება ისეთი, როგორიც იყო. სოსიაშვილის პროზაში ზღვა თითქოს ჩუმად უსმენს ადამიანს და ფიქრის შესაძლებლობას აძლევს. ის ნოსტალგიის და მშვიდი დამკვირვებლის ფუნქციას იძენს. მაშინ როცა ოდიშარიას ტექსტში იგი დევნისა და ტრავმის ფონია.

რუსულენოვან მწერლებთან (ფაზილ ისკანდერთან, ედუარდ ლიმონოვთან) შავი ზღვა განსხვავებულ მნიშვნელობებს იძენს. ედუარდ ლიმონოვის ტექსტში ზღვა არის ადგილი, სადაც ადამიანი ფიქრობს ცხოვრებაზე, თავის მარტოობაზე და იმაზე, თუ რამდენად უსამართლოა მსოფლიო. ის ამ თემებზე წერს სარკაზმით და ირონიით. ლიმონოვისთვის ზღვა არის ადგილი, სადაც ადამიანი რჩება მარტო თავის ფიქრებთან — ფიქრობს იმაზე, როგორია ცხოვრება, რამდენი უსამართლობა არსებობს, და როგორ შეიძლება ადამიანმა ასეთ სამყაროში იცხოვროს. ქალაქი გუდაუთა მისთვის უბრალოდ ადგილი კი არაა ის მჭიდროდ არის დაკავშირებული მის მოგონებებთან და პირად განცდებთან. ფაზილ ისკანდერის ტექსტში ზღვა არის მშვიდი და ღრმა. მთხრობელი ბავშვობაში ზღვასთან მარტო რჩება, უყურებს ტალღებს, სუნთქავს ზღვის ჰაერს და იწყებს ფიქრს როგორია ცხოვრება, რა არის სიკეთე და როგორ უნდა იცხოვროს სწორად. ისკანდერის ზღვა არ არის მტრული ან საშიში — პირიქით, ის თითქოს ადამიანს ეხმარება, იფიქროს რაღაც ღირებულზე. ზღვა ხდება მასწავლებელივით — ჩუმად გიდგას გვერდით და ფიქრებში მიგიძღვება.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვა, ქართული ლიტერატურა, რუსული ლიტერატურა, ომი, სივრცე.

Abstract

The Black Sea, as a geographical, cultural, and semiotic space, acquires particular significance in post-Soviet literature, where it functions not merely as a natural landscape but as a multi-layered narrative construct that signifies traumatic memory, national identity, and political and cultural transformations.

The present study aims to explore the models of representation of the Black Sea in contemporary Georgian and Russian prose. The primary sources of this analysis include four literary texts representing different aesthetic and ideological paradigms: Guram Odisharia's *Return to Sokhumi*, (2013). Giorgi Sosiashvili's *The Sea and the Cherries* (2013), Eduard Limonov's *The Black Sea / Gudauta* (2001) Fazil Iskander's *A Story about the Sea* (1966).

This research draws upon Mikhail Bakhtin's concept of the chronotope and Yuri Lotman's theory of the semiosphere, which together allow for an analysis of the texts as both spatio-temporal and semiotic constructions. Bakhtin's chronotope makes it possible to view the sea as a point of intersection between time and space — one that shapes the characters' memory, movement, perception of trauma, and narrative dynamics. At the same time, Lotman's concept of the semiosphere enables the interpretation of the Black Sea as a boundary between “us” and “others” — a transitional space in which intercultural conflict and dialogue coexist.

In this study, the Black Sea is approached not merely as a physical space, but as a place of exceptional significance for those who share a biographical connection with it.

The cultural significance of the Black Sea has been the subject of scholarly research at Ilia State University in recent years. Literary scholar and professor Bela Tsipuria, in her work *Representation of the Black Sea Space in Georgian Literature: A Postcolonial Perspective*, emphasizes how deeply meaningful the sea is for Georgian culture, describing it as a space where the nation searches for and defines itself. Tsipuria argues that although the Black Sea could have functioned as an open space — a site of contact and communication between Georgia and the outside world — it ultimately fails to fulfill this potential. As she writes:

The Black Sea, which potentially could have been a space of geographical and cultural openness and communication with the rest of the world, does not serve such a function in Soviet and post-Soviet Georgian literature. This, clearly, is explained by the colonial policies of the Russian-Soviet regime and the closure of borders.(Tsipuria, 2019, 474)

In other words, the sea lost its role as a natural connector. Due to historical and political circumstances — especially during the Soviet period, when Georgia was isolated and borders were closed — the sea became a symbol of closure and constraint rather than openness and possibility.

In the Comparative Literature volume, Salome Lapachishvili's essay *The Sea as the Destiny in the Georgian Postmodern Novel* *The Black Sea Ocean* explores how the sea no longer functions as a site of beauty or leisure. Instead, it becomes a symbol of trauma, memory, and sorrow — a place where the loss of home and childhood is made visible. Likewise, Tamta Khalvashi's work *Makeshift Boats: Transience, Turbulence, and the Sea of Mourning* portrays the daily life of post-Soviet port cities, revealing how coastal life shaped human experience. These studies show that the sea sometimes merges past and present and serves as a space of both grief and hope. In the cited research, the Black Sea emerges as much more than a geographic location — it becomes a site of memory, loss, and the search for self.

Ilia State University has also developed a digital platform for textual data related to the Black Sea: <https://bsr.iliauni.edu.ge/ka>. The platform's goal is to present diverse models of the sea's representation in Georgian literary and historical sources and to analyze the emotions associated with it. It includes texts from the Middle Ages to the present and covers myths, literature, and historical documents from Georgia and other Black Sea countries (such as Turkey, Ukraine, Bulgaria, Romania, and Russia). An interactive map shows specific locations mentioned in literary works — such as Sokhumi, Batumi, Odessa, etc. Each location is marked according to its emotional tone (positive, neutral, negative), reflecting the characters' or authors' attitudes. By clicking on a specific text, users can access information about the author, year, genre, and emotional annotations, offering insights into how the sea is perceived across different time periods and socio-

cultural contexts. The platform enables users to visualize the changing emotional significance of the Black Sea in various texts.

Of the four literary works analyzed in this thesis, three will contribute new annotated data to the digital platform.

In Georgian texts (Odisharia and Sosiashvili), the Black Sea simultaneously represents a space of individual and collective trauma, and acts as a link between a lost home and present identity. It becomes a crossroads of emotional memory, landscape, and history — a retrospective space where the sea is not just physical but deeply symbolic. It reminds characters of lost homes, childhoods, and homeland. In Odisharia's writing, the sea is often a background for exile, war, and pain, a space the protagonist cannot return to as the person they once were. In Sosiashvili's prose, the sea silently listens and creates room for introspection. It takes on the role of a nostalgic and calm observer, while in Odisharia's work, it becomes a backdrop for trauma and displacement.

In contrast, in Russian-language texts (Iskander and Limonov), the Black Sea takes on different meanings. In Eduard Limonov's work, the sea is a place where one reflects on life, solitude, and the unfairness of the world. He writes about these themes with irony and sarcasm. For Limonov, the city of Gudauta is not just a location — it is deeply tied to his personal memories and emotions. The sea becomes a space of solitary thought and existential reflection, a mirror in which the person sees their inner self, fears, and losses. In Fazil Iskander's story, the sea is calm and profound. The narrator, alone by the water in his childhood, watches the waves and breathes in the sea air, starting to think about life, goodness, and how to live meaningfully. The sea is not hostile or threatening — rather, it helps the individual reflect. It acts like a teacher, quietly guiding the person through their thoughts.

Keywords: Black Sea, Georgian literature, Russian literature, war, space.